السنّة النبوية وعلومها
www.sunnah.global

# ისლამი დაიწყო უცხოდ და კვლავაც დაბრუნდება ისეთი, როგორიც დაიწყო – უცხოდ. და ტუუბა უცხოებისთვისაა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ისლამი დაიწყო უცხოდ და კვლავაც დაბრუნდება ისეთი, როგორიც დაიწყო – უცხოდ. და ტუუბა უცხოებისთვისაა».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ისლამი უცხოდ დაიწყო – მისი მიმდევრების სიმცირით, და კვლავ უცხოდ დაბრუნდება, იმგვარად, რომ მისი მტკიცედ აღმსრულებელნი ცოტანი იქნებიან, როგორც დასაწყისში. ამიტომ ნეტარება, ბედნიერება, სიხარული და გულმშვიდობა უცხოთათვისაა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66219

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee